ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად *უნდა შეასრულოთ ორივე დავალება* (წერითი დავალება № 1 და წერითი დავალება № 2).

დავალებათა შესასრულებლად გეძლევათ *3 საათი.*

თითოეული დავალების *მაქსიმალური ქულაა 20.*

ორივე თხზულება უნდა გადაიტანოთ *პასუხების ფურცელში.* გაითვალისწინეთ, *შავად შესრულებული ნამუშევრები არ გასწორდება.*

გისურვებთ წარმატებას!

წერითი დავალება № 1

ინსტრუქცია:

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ტექსტი. კარგად გაიაზრეთ იგი, იმსჯელეთ, რის თქმა სურს ავტორს და გამოხატეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება.

ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დასაბუთებული იქნება ესა თუ ის შეხედულება შესაბამისი არგუმენტებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით.

ნიკო ლორთქიფანიძე

სული

შაჰი-შაი ჯიუტი ადამიანი იყო. თუ ერთხელ ამოიჩემებდა რამეს, უსათუოდ უნდა აესრულებინა. როცა მის სურვილს რაიმე წინ აღუდგებოდა და სისრულეში მოყვანა შეუძლებელი ხდებოდა, ავად შეიქნებოდა და აქიმები ტყუილად ცდილობდენ მის მორჩენას.

ერთხელ შაჰი-შაიმ იკითხა:

– სად არის ადამიანის სული?

– თავში, – უპასუხეს დიდებულებმა.

– გულში, – უპასუხა პოეტმა.

– სტყუით! – განრისხდა შაჰი-შაი. – არ მომწონს თქვენი პასუხი.

რადგან თავის კითხვაზე ყეენმა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, ბოღმა მოერია, დასუსტდა და სახლიდან ვერ გამოდიოდა.

შეძრწუნდა ხალხი. გადაწყვიტეს ეძებნათ კაცი, რომელიც ამოცანას ამოხსნიდა და გაბოროტებული შაჰის რისხვისგან იხსნიდა მათ.

ასეთი კაცი აღმოაჩინეს. იგი იყო ტყედ წასული ვიღაც ბრძენი. მას სულელს ეძახდნენ, მაგრამ გაჭირვების დროს ყოველთვის მას მიმართავდნენ. ეს კაცი ავადმყოფ შაჰს მიჰგვარეს.

– სადაა ჩემი სული?! – დაეკითხა შაჰი ბრძენს, როგორც კი დაინახა ახალი სახე.

– შენს გვირგვინში...

– ამისი? – ხელმეორედ დაეკითხა შაჰი და მიუთითა მხატვარზე.

– იმ სურათში, რომელსაც ახლა ხატავს.

– მაშ ათასი სული ჰქონია მხატვარს, რადგან ათასი სურათი მაინც დაუხატავს.

– ჭეშმარიტად! – უპასუხა ბრძენმა.

– ამ ბავშვის სული სადღა უნდა იყოს? – შაჰი უფრო და უფრო ბრაზდებოდა. თანაც ცნობისმოყვარეობამ აიტანა. ტახტზე წამოიწია და თვალები ჩააშტერა ბრძენს.

– ვაშლში, რომელსაც ისე ნდომით შეჰყურებს.

ბავშვი მართლაც თვალებით ყლაპავდა ვაშლს, რომლის ერთი მხარე ბროწეულის ყვავილივით წითელი იყო და მეორე კი ქარვასავით ჩაყვითლებოდა.

– შენი კი, შენი? ჩქარა მითხარი ვიღაცა ხარ!

– ჩემი მსოფლიოში, აქ, იქ, ზემოთ ცაში და ქვემოთ დედამიწაში, მარადისში და განუსაზღვრელში.

– მე ერთადერთი სული მქონია, – ფიქრობდა შაჰი-შაი, – მხატვარს, ბავშსაც კი, ათასი. ბრძენის სული კი განუსაზღვრელია და მარადისი. ჭეშმარიტად მათთან შედარებით მე საცოდავი ვარ.

და შაჰი-შაის სურდა ან ბრძენი ყოფილიყო, ან მხატვარი და ან ბავშვი მაინც!

ბავშვი მაინც!

და რადგან ეს არ შეეძლო, უფრო და უფრო მძვინვარებდა შაჰი-შაი, რომლის სული მხოლოდ მის გვირგვინში იყო მომწყვდეული.

შავი სამუშაოსათვის

წერითი დავალება № 2

ინსტრუქცია:

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით.

„ის ადამიანები, რომლებსაც სიმდიდრეც სურთ და თავისუფლებაც, ზოგჯერ ღარიბ მონებად გადაიქცევიან ხოლმე“.

ალბერ კამიუ

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

შავი სამუშაოსათვის